ლოტი 1

სს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს საჯარო აუქციონს სს „საქართველოს რკინიგზის" საკუთრებაში არსებულ, არამუშა ფარეხის 100 ერთეული სარემონტო ცემენტმზიდი ვაგონის დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ

1. **ძირითადი საინფორმაციო მონაცემები:**

- **საიჯარო ქონების ადგილმდებარეობა** - საქართველო;
- **იჯარით გადასაცემი ვაგონების რაოდენობა - 100** ერთეული;
- **საწყისი დღიური საიჯარო ქირა - 2912 ლარი** (დღგს-ჩათვლით)
- **"ბიჯი"- 154 ლარი**;
- **"ბე" – 91 929 ლარი**;
- **ბილეთის ფასი - 200 ლარი;**
- **იჯარის ვადა** - 2 წელი (730 კალენდარული დღე), რომელიც აითვლება თითოეულ ვაგონზე რემონტის დასრულების თარიღიდან თუ აღნიშნული ვადა არ აღემატება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების ვადიდან 60 დღეს, ყველა სხვა შემთხვევაში აითვლება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 61 დღეს .

- **ქონების საბაზრო ღირებულება - 850 000 აშშ დოლარი (დღგ-ს ჩათვლით).**
- **ერთეული ვაგონის საბაზრო ღირებულება -8 500 აშშ დოლარი (დღგ-ს ჩათვლით).**

- **აუქციონის არსებითი პირობები:**
- სს „საქართველოს რკინიგზის" საკუთრებაში არსებული, არამუშა ფარეხის 100 ერთეული სარემონტო ცემენტმზიდი ვაგონის ტექნიკური მახასიათებლები: ვაგონის ნომერი, აშენების წელი, მსახურების ვადა, გეგმიური შეკეთების ვადა, ტიპი, მოდელი, ტარა, ტვირთამწეობა, მოცულობა (დანართი 1)-ის და ვაგონების კომპლექტაციის სავარაუდო მონაცემები, (მონაცემთა ბაზის მიხედვით), (დანართი 2)-ის სახით თან ერთვის წინამდებარე საუქციონო პირობებს. (ვაგონები განთავსებულია საქართველოს რკინიგზის სადგურებში.)
- ვაგონების „მოიჯარესათვის"/"მოიჯარისაგან" გადაცემა/დაბრუნება მოხდება „მეიჯარის" მითითებით სს „საქართველოს რკინიგზის" სადგურებში მიღება-გადაცემის აქტების საფუძველზე ვაგონების ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით.
- ვაგონების „მოიჯარესათვის" გადაცემა განხორციელდება ეტაპობრივად, ,,მეიჯარისაგან" ვაგონების გადაცემის მზადყოფნის შესახებ „მოიჯარისათვის" შეტყობინების გაგზავნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, რაზედაც მხარეები ადგენენ შესაბამის მიღება-გადაცემის აქტ(ებ)ს. შეტყობინების გაგზავნას, „მეიჯარე" განახორციელებს მას შემდგომ, რაც „მოიჯარე" უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის დეპონირებას/საბანკო გარანტიის წარმოდგენას და სადაზღვევო პოლისის წარმოდგენას, რომლის დებულებებიც შესაბამისობაში იქნება იჯარის ხელშეკრულების პირობებთან.
- შეტყობინების გაგზავნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, "მოიჯარის" მიზეზით მიღება-გადაცემის აქტების გაუფორმებლობის შემთხვევაში, ან/და ხელშეკრულების ხელმოწერიდან, არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში, საბანკო გარანტიის ან/და დაზღვევის ან/და დეპონირების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მეიჯარე" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა დროსაც „მოიჯარეს" არ დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი „ბეს" თანხა.
- „მოიჯარისათვის" შეტყობინებისა და სხვა ოფიციალური კორესპონდენციის გაგზავნა ხორციელდება ელექტრონული ფოსტით და ჩაბარებულად ითვლება „მეილის" გაგზავნის დღიდან.

- საიჯარო ქონების „მოიჯარესათვის“ გადაცემის შესახებ მიღება-გადაცემის აქტის შედგენიდან, ვაგონების რემონტის დასრულებამდე, (რომლის ვადაც განისაზღვრება სარემონტო საწარმოს მიერ გაცემული ვუ-36 ფორმით ან/და სარკინიგზო ადმინისტრაციების საინფორმაციო ბაზაში ჩანაწერის რეგისტრაციით), „მოიჯარე“ არაუმეტეს 60 კალენდარული დღის ვადით თავისუფლდება საიჯარო ქირის გადახდისაგან. ვაგონების სარემონტოდ შეყვანამდე „მოიჯარე“ ასევე თავისუფლდება საქართველოს რკინიგზის სატარიფო პოლიტიკით გათვალისწინებული დამატებითი მომსახურების საფასურების გადახდისაგან. აღნიშნულ ვადაში რემონტის დაუსრულებლობის შემთხვევაში, „მოიჯარეზე“ საიჯარო ქირის (ასევე სატარიფო პოლიტიკით გათვალისწინებული დამატებითი მომსახურების საფასურის) დარიცხვა განხორციელდება 61-ე დღიდან, ხოლო მიღება-გადაცემის აქტის შედგენიდან 60 დღის განმავლობაში რემონტის დასრულების შემთხვევაში, საიჯარო ქირის დარიცხვა განხორციელდება რემონტის ფაქტობრივად დასრულების თარიღიდან.
- მიღება-გადაცემის აქტის ხელმოწერის შემდგომ, ვაგონების პირველად (ერთჯერადად) ტრანსპორტირებას, საქართველოს რკინიგზის ფარგლებში, „მოიჯარის“ მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოფს „მეიჯარე“, საკუთარი სახსრებით.
- ვაგონების გადაცემის შემდგომ, „მოიჯარე“ უზრუნველყოფს ვაგონების მიმდინარე და გეგმიურ/ არაგეგმიური (სადეპოო, კაპიტალური, მათ შორის საექსპლუატაციო ვადის გაგრძელებით, „კრპ“, „დრპ“) შეკეთებას. ვაგონების შეკეთება უნდა განახორციელოს „მოიჯარემ“, სარკინიგზო ადმინისტრაციების ცნობარით „საწარმოთა პირობითი კოდებით” განსაზღვრულ საწარმოში, რომელსაც უნდა გააჩნდეს იმ შეკეთების უფლება, რომელიც განსაზღვრული აქვს შესაკეთებელ ვაგონს შეკეთების რეგლამენტის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ვაგონის შეკეთება შეუძლებელია ,, მეიჯარე“ უფლებამოსილია ჩაანაცვლოს ის ანალოგიური სახის და ტექნიკური მონაცემების მქონე ვაგონით „მოიჯარის“ მხრიდან შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.
- საიჯარო ვაგონების კურსირების პოლიგონი განისაზღვრება 1520 მმ-ის სიგანის ლიანდის მქონე შემდეგი ქვეყნების სარკინიგზო ადმინისტრაციებით: სნგს წევრი ქვეყნები, ბალტიისპირეთის ქვეყნები; საქართველო და უკრაინა. დაუშვებელია, მითითებული კურსირების პოლიგონის გარდა, საიჯარო ვაგონების გადაგზავნა სხვა სარკინიგზო ადმინისტრაციების დანიშნულებით.
- ვაგონების კურსირების საკითხის შეთანხმებაზე პასუხისმგებელია „მოიჯარე“, სხვა სარკინიგზო ადმინისტრაციების მიერ კურსირების პირობების შეუთანხმებლობა, არ წარმოადგენს იჯარაში მიღებული ვაგონების „მეიჯარესთვის“ დაბრუნების მოთხოვნის წინაპირობას.
- ვაგონების იჯარაში გადაცემის და კურსირების პოლიგონის რეგისტრირებას სარკინიგზო ადმინისტრაციების საინფორმაციო გამოთვლით ცენტრში (ИВЦЖА) უზრუნველყოფს „მოიჯარე“ თავისივე ხარჯებით სარკინიგზო ადმინისტრაციებიდან მიღებული კურსირების შეთანხმების შეტყობინებების საფუძველზე. იჯარის რეგისტრაციის შესახებ ვაგონების ნომრული შეტყობინების გადაცემა ხორციელდება მოიჯარის მოთხოვნით იმ ეტაპისათვის არსებული შეთანხმებული კურსირების პოლოიგონის გათვალისწინებით.
- გეგმიური/არაგეგმიური, (სადეპოო, კაპიტალური, მათ შორის საექსპლუატაციო ვადის გაგრძელებით, „კრპ“, „დრპ“) და მიმდინარე რემონტების რეგისტრაციის და ტრაფარეტის დატანა/წაშლის ხარჯებს ანაზღაურებს „მოიჯარე“.
- ვაგონებზე სხმული დეტალების (წყვილთვლები, გვერდითი ჩარჩო, რესორზედა ძელი) შეცვლის საჭიროების შემთხვევაში „მოიჯარე“ ვალდებულია აცნობოს „მეიჯარეს“ და მეიჯარის თანხმობის მიღების შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით მოახდინოს დეტალის შეცვლა.
- ვაგონის დაზიანების (ამორიცხვის დონემდე, შეუძლებელია აღდგენა), ან დაკარგვის შემთხვევაში, „მოიჯარე“ ვალდებულია უზრუნველყოს თანხობრივი კომპენსაცია სს „საქართველო რკინიგზის“ დაკვეთით აუდიტის მიერ შეფასებული დასკვნით განსაზღვრული ღირებულების შესაბამისად.

• ხელშეკრულების გაფორმების ვადა შეადგენს აუქციონის დამთავრებიდან 15 კალენდარულ დღეს.

- „მოიჯარე“ ვალდებულია, ხელშეკრულების ხელმოწერიდან, არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების

უზრუნველსაყოფად, განახორციელოს „მეიჯარის“ საბანკო ანგარიშზე თანხის დეპონირება **85 000** (ოთხმოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით ან ამავე თანხაზე რეზიდენტი ბანკის მიერ გაცემული/დამოწმებული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენა და ამავე ვადაში „მეიჯარეს“ წარუდგინოს მასთან წინასწარ შეთანხმებული შინაარის საიჯარო ქონების დაზღვევის პოლისი, სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული უნდა იყოს „მეიჯარესათვის“ სადაზღვევო კომპენსაციის - ფრანშიზის გარეშე ანაზღაურების პირობა, ასევე დაზღვეული უნდა იყოს ყველა რისკი, გამონაკლისად დაიშვება მხოლოდ:

- ნივთის ბუნებრივი სარგებლობით გამოწვეული ცვეთა და კოროზია;
- სახელმწიფო უწყების მხრიდან განხორციელებული ჩამორთმევა, კონფისკაცია, რეკვიზიცია.
- სამხედრო ღონისძიებები ან საომარი მოქმედებები და მათი შედეგები,სამოქალაქო ომები, ტერორისტული აქტები და მათი შედეგები.
- რადიაციული ან რადიოაქტიური დაბინძურების პირდაპირი ან არაპირდაპირი შედეგები, ატომური ენერგიის ნებისმიერ გამოყენებასთან დაფეთქებადი მასალების გამოყენებასთან დაკავშ ირებული შედეგები;
- დაზღვეული სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის ნარჩენების გატანასთან დაკავშირებული ზარალი და ხარჯები, გარემოზე მიყენებული ზიანი,ადამიანის ჯანმრთელობის ა და მესამე მხარის ქონებისთვის მიყენებული ზიანი, ჯარიმები და სხვ.;
- ტრანსპორტირებული საქონლის დაზიანება ან დაკარგვა;
- დაზღვეულის ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულება;
- დაზღვეულის არაპირდაპირი დანაკარგები, მათ შორის, მოძრავი შემადგენლობის გამოყენების შ ესაძლებლობის დაკარგვა;
- დაზღვეული ქონების დაბინძურება.

დაუშვებელია სადაზღვეო პოლისის წარმოდგენა, რომელშიც, ან რომლის თანმხლებ დოკუმენტსა, თუ ხელშეკრულებაში მითითებული იქნება ზემოაღნიშულისაგან განსხვავებული (უფრო მეტი) სადაზღვეო კომპენსაციის გაცემაზე უარის წინაპირობა.

- **თანხის დეპონირებისა და სადაზღვევო პოლისის ნაცვლად, პრეტენდენტი უფლებამოსილია, წარმოადგინოს რეზიდენტი ბანკის მიერ გაცემული ან დამოწმებული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია ქონების საბაზრო ღირებულებაზე.**
- სადაზღვევო პოლისი მიზნებისათვის, საიჯარო ქონების ჯამური საბაზრო ღირებულება შეადგენს **850 000** (რვაას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარს.
- პოლისის გამცემი სადაზღვევო ორგანიზაცია უნდა იყოს ქართულ ბაზარზე მოქმედი სადაზღვევო კომპანია, რომელიც ვალდებულია დაზღვეული რისკი გადააზღვიოს საერთაშორისო სადაზღვევო ბაზარზე, სარეიტინგო სააგენტო “სტადარტ და პურსის” (Standart & Poor`s) არაუმცირეს BBB რეიტინგის მქონე კომპანიაში;
- საბანკო გარანტიის/ქონების დაზღვევის/თანხის დეპონირების მოქმედების ვადა 120 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

3. აუქციონის საორგანიზაციო პირობები

- განაცხადების მიღების ადგილი - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, სს ”საქართველოს რკინიგზის” გამოთვლითი ცენტრის შენობა მე-7 სართული განაცხადების მიღების ვადა -2020 წლის 17 ივნისიდან 2020 წლის 7 ივლისამდე. განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით. აუქციონის ჩატარების დღემდე 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10:00 საათიდან 12:00 საათამდე.

• აუქციონის ჩატარების ადგილი და დრო - 2020 წლის 7 ივლისი. ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, სს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში 14 საათზე.

• საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ - საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ან კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ან ამ პირთა გაერთიანებას;

• დეტალური პირობები ქონების იჯარასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ ხელშეკრულების პროექტში.

• პირმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ლოტებად გამოტანილი ქონების განკარგვის მიზნით მოწყობილ საჯარო აუქციონში თითოეული ლოტისათვის ცალ-ცალკე უნდა წარმოადგინოს ბეს თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში, განაცხადის წარმდგენ პირს შეიძლება უარი ეთქვას საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე.

4.საჯარო აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი პირის შესახებ, საიჯარო ქონების დასახელებას, საწყის საიჯარო ფასს.
- "ბე"-ს თანხისა და "მონაწილის ბილეთის" საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, თანხა გადახდილი უნდა იქნეს სს "საქართველოს რკინიგზის" შემდეგ ანგარიშსწორების ანგარიშზე: სს "საქართველოს რკინიგზის" საბანკო რეკვიზიტები: ეროვნულ ვალუტაში - ს/ს "თი ბი სი" ბანკი მარჯანიშვილის ფილიალი, ბანკის კოდი 220101850; საიდენთიფიკაციო კოდი №202886010 ანგარიშის ნომერი ა/ა №59136020100001, ეროვნულ ვალუტაში. აშშ დოლარში: Intermediary Bank: CITIBANK N.A. NEW-YORK, USA, SWIFT: CITIUS33, ABA: 021000089 Beneficiarys bank : HEAD OFFICE SWIFT: TBCBGE22; JSC"TBC BANK " , Marjanishvili Branch; SWIFT: TBCBGE22850 Name of beneficiary: JSC"GEORGIAN RAILWAY" Bens account: GE11TB1100000112070112. აშშ დოლარის გადარიცხვისას გათვალისწინებულ უნდა იქნას გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსი.
- საჯარო აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული/დაწესებულების მიერ სათანადო წესით გაცემული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს, განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. თუ იურიდიული პირის წესდებით გათვალისწინებულია საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე პარტნიორთა (აქციონერთა) გადაწყვეტილება, აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისი წესით დამოწმებულ ასლს.
- საჯარო აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში განაცხადის რეგისტრაციისა და "მონაწილის ბილეთის" გადაცემის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს საჯარო აუქციონში მონაწილის სტატუსს.
- საჯარო აუქციონში მონაწილეს "ბე"-ს თანხის დაუკავებლად უფლება აქვს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში განაცხადოს წერილობითი უარი აუქციონში მონაწილეობაზე.
- საჯარო აუქციონში მონაწილეობის მსურველს აუქციონში მონაწილეობაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ გასულია განაცხადების მიღების ვადა ან/და წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს საჯარო აუქციონში მონაწილეობისათვის განსაზღვრულ პირობებს.

5.საჯარო აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი:

- საჯარო სააუქციონო პირობების სრულად დაკმაყოფილება და კომპანიისათვის მაქსიმალური საიჯარო ქირის შემოთავაზება, არანაკლებ საწყისი საიჯარო ქირისა, ბიჯის გათვალისწინებით.

6. საჯარო აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და საიჯარო ხელშეკრულების დადება

- საჯარო აუქციონის ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება აუქციონის შედეგების ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას "მეიჯარესა" და "მოიჯარეს" შორის. ოქმს ხელს აწერს აუქციონში გამარჯვებული, სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.
- საჯარო აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და არ უბრუნდება გადახდილი "ბე"-ს თანხა.
- საჯარო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში უნდა გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.
- თუ საჯარო აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ საჯარო აუქციონში მონაწილეები, რომლებიც ესწრებიან საჯარო აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას საჯარო სააუქციონო ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშემდგარი აუქციონის შესახებ და აუქციონში მონაწილეებს არ დაუბრუნდებათ გადახდილი "ბე"-ს თანხა.
- "მოიჯარის" მიერ საიჯარო ქონებაზე განხორციელებული გაუმჯობესების და კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელთა გამოყოფა იჯარის საგნისაგან შეუძლებელია, რჩება "მეიჯარეს" უსასყიდლოდ.
- "მოიჯარეს" უფლება აქვს ქვეიჯარით გასცეს იჯარით აღებული ქონება ან მისი ნაწილი, "მეიჯარესთან" შეთანხმებით. ამასთან, ქვეიჯარა არ ათავისუფლებს "მოიჯარეს" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში "მოიჯარე" იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ "მოიჯარე" დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1 %-ის ოდენობით (პირგასამტეხლო "მოიჯარეს" ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).
- თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში "მოიჯარე" არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს პირგასამტეხლოს გადახდაზე, სს "საქართველოს რკინიგზას" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება.
- ხელშეკრულების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმების ხარჯებს ფარავს საჯარო აუქციონში გამარჯვებული.

7. შენიშვნები და დათქმები

- გამარჯვებულს "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა ჩაეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ვადის ბოლო თვ(ეებ)ის ქირის ანგარიშსწორებისას. ხელშეკრულების „მოიჯარის" მიზეზით ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, „მოიჯარეს" არ დაუბრუნდება გადახდილი „ბეს" თანხა.
- საჯარო აუქციონში მონაწილე პირებს, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს გადახდილი "ბე"-ს თანხა უბრუნდებათ უკან, აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.
- საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდება აშშ დოლარში, აუქციონის ჩატარების დღისთვის არსებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (ლარი/აშშ დოლარი) დადგენილი, გაცვლითი კურსის შესაბამისად.

- იჯარით გადასაცემი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სს "საქართველოს რკინიგზაში" მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15. სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე -(+995) 591 19 03 03 Alexsi.koreli@railway.ge ფინანსურ საკითხებზე: - (+ 995) 577 62 11 75. Tamuna. Tabatadze@railway.ge იურიდიულ საკითხებზე - (+995) 591 19 90 05. irina.qarcava@railway.ge ვაგონების ტექნიკურ მდგომარეობაზე - (+995) 591 19 93 88. Zaza.paturashvili@railway.ge ვაგონების გადაზიდვასთან დაკავშირებულ საკითხებზე-(+995)5919889. omar.gulbani@railway.ge